ქალაქ თბილისის საკრებულო
TBILISI CITY ASSEMBLY

თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ. 10, ტელ: (+995 32) 2 98 29 32; www.sakrebulo.ge
10, LERMONTOVI ST, 0105 TBILISI, GEORGIA; TEL: (+995 32) 2 98 29 32; www.sakrebulo.ge

№ 1435 "18" თებერვალი 2014 წ.

ქ. თბილისის მერის მოადგილეს
ბატონ დავით ნინიძეს

✓ ასლი: მოქ. მერაბ სიჭინავას
მის: ქ. თბილისი, ლიბანის ქუჩა №1, ბ.№26
ტ.599586272

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში საკრებულოს თავმჯდომარის ბ-ნ ირაკლი შიხიაშვილის რეზოლუციით შემოვიდა მოქ. მერაბ სიჭინავას განცხადება (№1435), შ.პ.ს. „იბერია-95"-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს.კ. №№01.11.17.001.151;01.11.17.001.152) სამშენებლო განვითარების მიზნით სსზ-2-ის ფუნქციური სტატუსის მინიჭების შესახებ. ამასთან აღსანიშნავია, რომ მიწის მესაკუთრეს წარმოდგენილი აქვს, შესაბამისი სამსახურების მიერ მოწონებული ავჭალა-გლდანის სატრანსპორტო კვანძის ცალმხრივ მაგისტრალებს შორის მოქცეულ მიწის ნაკვეთზე აირის ავტოგასამართი სადგურის, კომერციული ფართის და მწვანე მასივის მოწყობა-მოწესრიგების საპროექტო წინადადებები.

გიგზავნით განცხადებას. გთხოვთ გაერკვეთ შექმნილ ვითარებაში და კანონმდებლობის ფარგლებში განიხილოთ მოქალაქის თხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

პასუხი აცნობეთ განმცხადებელს და კომისიას.

დანართი: 1 ფურცელი, 1 CD დისკი.

პატივისცემით,

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო
მეურნეობის კომისიის
თავმჯდომარე ნიკოლოზ ხაჩირაშვილი

ქალაქ თბილისის საკრებულო
TBILISI CITY ASSEMBLY

თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ. 10, ტელ: (+995 32) 2 98 29 32; www.sakrebulo.ge
10, LERMONTOVI ST, 0105 TBILISI, GEORGIA; TEL: (+995 32) 2 98 29 32; www.sakrebulo.ge

№1435 "04" თებერვალი 2014 წ.

ქ. თბილისის მერიის-სსიპ თბილისის
არქიტექტურის სამსახურის უფროსის
ბატონ გიორგი გოგოლაშვილს

ასლი: მოქ. მერაბ სიჭინავას
მის: ქ. თბილისი, ლიბანის ქუჩა №1, ბ.№26
ტ.599586272

ბატონო გიორგი,

ჩვენი 2014 წლის 18 თებერვლის №1435 წერილის დამატებით გაცნობებთ, რომ მოქალაქე მერაბ სიჭინავა ითხოვდა შ.პ.ს. „იბერია-95"-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისათვის (ს.კ. №№01.11.17.001.151;01.11.17.001.152) სამშენებლო განვითარების მიზნით სსზ-2-ის სტატუსის მინიჭებას. ამასთან დაკავშირებით საკრებულოს შესაბამისმა კომისიამ იმსჯელა რაიონისათვის საინტერესო წინადადებაზე (№1435) და მიზანშეწონილად მიიჩნია სსზ-2-ის მინიჭება შეიძლება განხილული იქნეს სამომავლოდ თბილისის განაშენიანების გეგმის პარალელურად, ხოლო ამ ეტაპისათვის მართებულად ჩათვალა „სზ-1"-ის „სზ-2"-ად შეცვლა, რადგანაც „სზ-2", მესაკუთრის მიერ შეიძლება გამოყენებული იქნას ავტოსადგომად, რაც განტვირთავს იქ არსებულ სატრანსპორტო მდგომარეობას, ხოლო მეპატრონეს მისცემს საშუალებას განავითაროს მის საკუთრებაში არსებული ტერიტორია.

პატივისცემით,

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო
მეურნეობის კომისიის
თავმჯდომარე ნიკოლოზ ხაჩირაშვილი